

1973/2



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უელდესი საბჭოს უწყებები

№ 4 (387)

1973 წლის აპრილი

საქართველოს სსრ უელდესი საბჭოს გამოსემა

თბილისი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს  
უწყებები



№ 4 (387)

აპრილი

1973 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბანაოფილება პირველი

46. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რაიონული დაქვემდებარების ქალაქ ვაგრის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნისა და ვაგრის რაიონის გაუქმების შესახებ.
47. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლოთობის, ალკოვოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.
48. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ქალაქ თბილისში საქარხნო რაიონის შექმნის შესახებ.
49. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გარდაბნის რაიონის სამგორის სადაბო საბჭოს გაუქმებისა და დიდი ლილოს სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.
50. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გარდაბნის რაიონის სოფელ სოღანლუდის და სოღანლუდის სასოფლო საბჭოს გაუქმების შესახებ.
51. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგური სასამართლოების დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
52. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
53. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.
54. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა სადეპუტატო მოწოდებისა და დეპუტატთა სამკერდე ნიშნების ნიმუშების, აგრეთვე საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა სამკერდე ნიშნების დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ  
სახელმწიფო რესპუბლიკა  
ბრძანებულება



დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი პუტატთა სამკერდე ნიშნებისა.

აღწერილობა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშნისა.

აღწერილობა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს დეპუტატის სადეპუტატო მოწმობისა.

55. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების წინადადებათა განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში.

**განყოფილება მეორე**

56. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწი-  
ლებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

57. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ფაზულტურისა და სპორტის დამახურობელი მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

58. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზ. გ. ა. ბილანიშ-  
ვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდო-  
ების შესახებ.

59. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ი. ა.  
ნაკაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდო-  
ების შესახებ.

60. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზ. კ. თ. ქაჭოსაძის  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების  
შესახებ.

61. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზ. პ. ა. ჩხეიძის  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოებას  
შესახებ.

62. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზ. დ. ი. ცინცაძის  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების  
შესახებ.

63. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზ. მ. კ. წულუკიძის  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების  
შესახებ.

64. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზ. ს. ფ. ქვალუას  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების  
შესახებ.

65. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ი. ა.  
ხოჭოლაეას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და-  
ჯილდოების შესახებ.

66. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სპორტულ საზოგადოება  
„დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს საქართველოს სსრ უმაღლესი  
საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

67. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
68. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ა. მ. ვ. ს. გელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
69. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ა. ი. კახნიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

#### განყოფილება მისამი

საინფორმაციო ცნობა.



**განყოფილება პირველი**

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**46 რაიონული დაქვემდებარების ქალაქ გაგრის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნისა და გაგრის რაიონის გაუქმების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება:

1. რაიონული დაქვემდებარების ქ. გაგრის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ;
2. გაგრის რაიონის გაუქმებისა და მასში შემაჯავლი შრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების გაგრის საქალაქო საბჭოსადმი აღმინის-ტრაკიულ დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ;
3. ადგილობრივი საბჭოების მორიგ არჩევნებამდე გაგრის რაიონული და გაგრის საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოს დეპუტატთა რწმუნების შენარჩუნების შესახებ გაგრის საქალაქო (რესპუბლიკურ დაქვემდებარების) საბჭოში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე.

თბილისი, 1973 წლის 5 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**47 ლოთოზის, ალკოპოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების დაბუღების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს ლოთოზის, ალკოპოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების დებულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე.

თბილისი, 1973 წლის 6 აპრილი.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიებისა

#### I. ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების ამოცანები და მათი ორგანიზაციის წესი

**მუხლი 1.** ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების ძირითადი ამოცანაა ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის გავრცელების მიზეზების შესწავლა, ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ საბრძოლველად სახელმწიფო ორგანოების, დაწესებულებათა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაცია, აგრეთვე ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის გამოვლენათა თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება.

**მუხლი 2.** ლოთობის, ალკოჰოლიზმის და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები იქმნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში), ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან. აღნიშნულ კომისიებს ქმნიან და მათს შემადგენლობას ამტკიცებენ ორგანოები, რომლებთანაც ისინი არსებობენ.

ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები, საჭირო შემთხვევებში, ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით, შეიძლება შეიქმნას აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან.

**მუხლი 3.** ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები მთელი თავიანთი საქმიანობისათვის პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და მინისტრთა საბჭოების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს წინაშე.

თავიანთი მუშაობის შესახებ კომისიები სისტემატურად აწოდებენ ინფორმაციას საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა კოლექტივებს.

**მუხლი 4.** ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები მოქმედებენ შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავმჯდომარე

(აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები.

კომისიის წევრთა რიცხვს, სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით, განსაზღვრავს მისი შემქმნელი ორგანო. კომისიის შემადგენლობაში შედიან საბჭოების დეპუტატები, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლები, საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ვაჭრობის, ადმინისტრაციული ორგანოების, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებათა მუშაკები.

კომისიის წევრებს ეძლევათ შესაბამისი მოწმობები.

**მუხლი 5.** ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების საქმიანობა ხორციელდება საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით.

კომისიების მუშაობაში ჩააბამენ პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების, კომკავშირის კომიტეტების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, ქუჩის, სახლის კომიტეტებისა და საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლებს.

კომისიები, თავიანთ მუშაობაში ჩაბმული აქტივიდან, გამოყოფენ საზოგადოებრივ ინსპექტორებს იმ პირთა შორის აღმზრდელობითი მუშაობისათვის, რომლებიც შემჩნეული არიან ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებასა და სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენებაში, შრომის დისციპლინისა და საზოგადოებრივ ადგილებში ქცევის წესების დარღვევაში, აგრეთვე იმაში, რომ უარყოფით გავლენას ახდენენ ოჯახში ბავშვთა აღზრდაზე.

ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები მათი გამგებლობის ყველა საკითხის გამო ურთიერთმოქმედებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივ კომისიებთან, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებთან და ადმინისტრაციულ კომისიებთან.

**მუხლი 6.** ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები მათი გამგებლობის საკითხებზე იღებენ დადგენილებებს, რომლებიც სავალდებულოა სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის.

სახელმწიფო დაწესებულებები, საწარმოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან ორი კვირის ვადაში აცნობონ კომისიას მისი დადგენილების შესასრულებლად მიღებული ზომების შესახებ.

## II. ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების უფლება-მოვალეობანი

**მუხლი 7.** ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში), ქალაქის რაიონული კომისიები:      3



ა) უზრუნველყოფენ ჯანმრთელობის დაცვის, შინაგან საქმეთა, სსრკ-ის საგარეო ურთიერთობების, პროკურატურის, სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციას ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ საბრძოლველად;

ბ) შეიმუშავენ და ახორციელებენ ღონისძიებებს, როგორც უშუალოდ ისე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების მეშვეობით, ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის, აგრეთვე ალკოჰოლისა და ნარკოტიკულ ნივთიერებათა ზემოქმედებით ჩაღვნილ სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის, მშრომელთა კოლექტივებსა და მოსახლეობაში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარების წინააღმდეგ პრობაგანდის გაძლიერებისათვის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში სამეცნიერო-ტექნიკურ ზემოქმედებაში მოქალაქეთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, აქტიურად ჩაბმისათვის და მათში მხატვრული თვითმოქმედების, ხელოვნების, ფიზკულტურისა და სპორტისადმი ინტერესის გაღვივებისათვის;

გ) უზრუნველყოფენ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სათანადო აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციას ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაში შემჩნეულ და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებულ პირთა შორის, ამ პირებთან მუშაობაში ფართოდ აბაშენ მშრომელთა კოლექტივებს, შრომისა და ომის ვეტერანებს, ნებაყოფლობით სახალხო რაზმელთა წევრებს, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს; დახმარებას უწევენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა კოლექტივებს ხელახლა აღზარდონ ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებელი პირნი, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც ხმარობენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს; ამოწმებენ ამ პირებზე საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული ზემოქმედების ეფექტიანობას;

დ) კონტროლს უწევენ შინაგან საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობას იმ პირთა გამოსავლენად და აღრიცხვაზე ასაყვანად, რომელთა მიმართ წინათ გამოყენებული იყო ადმინისტრაციული ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარების ან ლოთობისათვის, რომლებიც სისტემატურად ბოროტად იყენებენ ალკოჰოლს, არაერთხელ ყოფილან მოთავსებული სამედიცინო გამოსაფხიზლებლებში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მუდმივი საზოგადოებრივი მეთვალყურეობა ამ პირთა ქცევაზე ყოფა-ცხოვრებასა და შრომაში და განხორციელდეს საჭირო ღონისძიებანი ქრონიკული ალკოჰოლიზმით, აგრეთვე ნარკომანიით დაავადებულთა მკურნალობისათვის შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებებსა და სამკურნალო-შრომითს პროფილაქტორიუმებში;

ე) კონტროლს უწევენ სამედიცინო გამოსაფხიზლებლების, ნარკომანთა და ქრონიკულ ალკოჰოლიკთა სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმების საქმიანობას, აგრეთვე ეხმარებიან პროფილაქტორიუმების ადმინისტრაციას იქ სამკურნალოდ მიყვანილ პირთა ხელახლა აღზრდასა და გამოსწორებაში;



ვ) უზრუნველყოფენ, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მშრომელთა კოლექტივებმა კონტროლი გაუწიონ სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკური მიზნებიდან განთავისუფლებულ პირთა ქცევას და საჭირო შემთხვევებში დაეხმარონ მათს შრომით მოწყობაში;

ზ) ახორციელებენ კონტროლს იმისადმი, რომ ვაქრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაკები იცავდნენ არყითა და სხვა სპირტიანი სასმელებით ვაქრობის დადგენილ წესებს; კონტროლს უწევენ ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემოტანის, შენახვისა და გაცემის წესის დაცვას;

თ) ორგანიზაციას უწევენ და ახორციელებენ პროპაგანდას იმის შესახებ თუ რა ზიანს აყენებს ლოთობა და ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარება ადამიანის ჯანმრთელობას, ბავშვებისა და მოზარდების აღზრდას, საბჭოთა საზოგადოებას; ამ საქმეში აქტიურად იყენებენ პრესას, რადიოს, ტელევიზიას და ლექციურ პროპაგანდას, რასაც წარმართავენ საზოგადოება „ცოდნის“ რაიონულ (საქალაქო) ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტში;

ი) სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად იღებენ ზომებს იმ პირთა გამოსავლენად, რომლებიც უკანონოდ ამზადებენ და ჰყიდიან სპირტიან სასმელებს, აგრეთვე, დადგენილი წესით, ასეთი პირების პასუხისგებაში მისაცემად;

კ) აკონტროლებენ ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებას.

**მუხლი 8.** ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის რაიონულ, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში), ქალაქის რაიონულ კომისიებს უფლება აქვთ:

ა) შეამოწმონ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის, ალკოჰოლის საწინააღმდეგო პროპაგანდის მდგომარეობა, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა, მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა კულტურული დასვენების ორგანიზაციისათვის გაწეული მუშაობა;

ბ) მოისმინონ კომისიის სხდომებზე საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების ხელმძღვანელთა და კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა მოხსენებები ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის, ლოთობისა და შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევათა თავიდან აცილებისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ, მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობისა და მათი კულტურული დასვენების ორგანიზაციის შესახებ;

გ) შეამოწმონ ვაქრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში სპირტიანი სასმელებით ვაქრობის დადგენილი წესების დაცვის, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში ნარკოტიკულ ნივთიერებათა აღრიცხვის, შენახვისა და გაცემის წესების დაცვის მდგომარეობა და დარღვევათა გამოვ-



ლენის შემთხვევაში დააყენონ საკითხი კანონის შესაბამისად დამსახურების სუბსიდიების მიცემის შესახებ;

დ) ჩააბან საზოგადოებრიობა იმ პირთა ხელახლა აღზრდაში, რომლებიც ლოთობენ, აგრეთვე ხმარობენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს, და გამოყონ საზოგადოებრივი ინსპექტორები იმ პირთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის განსახორციელებლად;

ე) შეიტანონ წარდგინებანი შესაბამის ორგანოებსა და უწყებებში საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების იმ ხელმძღვანელთა მიმართ მომთხოვნელობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც სათანადოდ არ იბრძვიან ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის გარკველების წინააღმდეგ, არ იღებენ საჭირო ზომებს ლოთობის თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის, მუშა-მოსამსახურეთა დასვენების ორგანიზაციისათვის. აღნიშნული ორგანოები და უწყებები მოვალენი არიან ერთი თვის ვადაში აცნობონ კომისიას წარდგინების განხილვის შედეგები;

ვ) განსახილველად შეიტანონ ზემდგომ ორგანოებში წარდგინებანი და წინადადებანი ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების იმ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტა საჭიროა ზემდგომ ხელმძღვანელ ორგანოებში;

ზ) მოსთხოვონ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს საჭირო ცნობების წარმოდგენა;

თ) შესაბამისი ორგანოების წინაშე აღძრან საკითხი იმ თანამდებობის პირთა მიმართ დისციპლინური სასჯელის ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების შესახებ, რომლებიც არ ასრულებენ კომისიის დადგენილებებს;

ი) მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განსახილველად შეიტანონ საკითხები:

ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ;

გარკვეულ ადგილებში არყითა და სხვა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის შეზღუდვის ან აკრძალვის შესახებ;

საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ;

კ) სასამართლოს წინაშე აღძრან შუამდგომლობა მშობლის უფლებათა ჩამორთმევის შესახებ, თუ დადგინდება, რომ მამა (დედა) ბოროტად იყენებს მშობლის უფლებებს და თავისი მოქმედებით იყოლიებს არასრულწლოვან შვილებს სპირტიანი სასმელების ან ნარკოტიკული ნივთიერებების ხმარებაზე.

**მუხლი 9.** ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები;

შემოქმედებენ და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების მეშვეობით განახორციელებენ ღონისძიებებს ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის გავრცელების, ალკოჰოლისა და ნარკოტიკულ ნივთიერებათა ზემოქმედებით ჩადენილ სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე ამ მოვლენათა წარმოშობი მიზეზების აღმოსაფხვრელად;

აკონტროლებენ, წარმართავენ და კოორდინაციას უწყვენ ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ქვემდგომი კომისიების საქმიანობას, უწყვენ მათ მეთოდურ დახმარებას, განაზოგადებენ და ავრცელებენ მათი მუშაობის დადებით გამოცდილებას.

**მუხლი 10.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისია:

არეთიანებს და წარმართავს მუშაობას ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის გავრცელების თავიდან აცილებისათვის;

წარმართავს მუშაობას ალკოჰოლის, აგრეთვე ნარკოტიკულ ნივთიერებათა ზემოქმედებით ჩადენილ სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და მათი წარმოშობი მიზეზების აღმოფხვრისათვის;

აკონტროლებს და კოორდინაციას უწყევს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოსთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში), ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების საქმიანობას, უწყევს მათ მეთოდურ დახმარებას, განაზოგადებს და ავრცელებს მათი მუშაობის დადებით გამოცდილებას.

**მუხლი 11.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები სარგებლობენ ამ დებულების მე-8 მუხლში გათვალისწინებული უფლებებით.

### III. ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის მუშაობის ორგანიზაცია

**მუხლი 12.** ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კომისიის სხდომების რეგულარულ მოწვევას, განსაზღვრავს მორიგ სხდომაზე განსახილველ საკითხებს, სხდომებზე განსახილველად ამზადებს კომისიის სამუშაო გეგმებს და მისი საქმიანობის ანგარიშებს, აძლევს დავალებებს კომისიის წევრებს და ამოწმებს მათს შესრულებას;

კომისიის სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

**მუხლი 13.** ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მისი შემადგენლობის არანაკლებ ნახევრისა.

კომისიის დადგენილებას იღებენ სხდომის მონაწილე კომისიის წევრთა ხმის უბრალო უმრავლესობით და მას ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი.

**მუხლი 14.** ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის სხდომაზე იწვევენ, განსახილველ საკითხთა ხასიათის შესაბამისად, შინაგან საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და სხვა სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლებს.

**მუხლი 15.** ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შეიქმნას სექციები:

აღმზრდელი მუშაობის და ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ პროპაგანდისა;

იმ პირთა აღრიცხვისა და საზოგადოებრივი მეთვალყურეობისა, რომლებიც ხმარობენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ბოროტად იყენებენ ალკოჰოლს და დაავადებული არიან ქრონიკული ალკოჰოლიზმით;

სამკურნალო-პროფილაქტიკური;

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მიერ ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობის დადგენილი წესების დაცვაზე კონტროლის ორგანიზაციისა.

კომისიებს შეუძლიათ შექმნან სხვა სექციებიც.

ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის წევრები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ, როგორც წესი, ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს.

**მუხლი 16.** ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, რომელთანაც არსებობს ეს კომისია. ამ ორგანოების გადაწყვეტილება საჩივრის თაობაზე საბოლოოა.

**მუხლი 17.** ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ეკისრებათ შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის მდივანი

**ზ. კვაჭავაძე.**

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**48 ქალაქ თბილისში საქარხნო რაიონის შექმნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონიდან გამოყოფილ ტერიტორიაზე შეიქმნას ახალი რაიონი და ეწოდოს მას საქარხნო რაიონი.
2. დადგინდეს საქარხნო რაიონის ტერიტორია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საზღვრების ფარგლებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი, 1973 წლის 10 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**49 გარდაზნის რაიონის სამგორის სადაბო საბჭოს გაუქმებისა და დიდი ლილოს სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გაუქმდეს დაბა სამგორი და სოფელი ალექსეევკა ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.
2. გაუქმდეს სამგორის სადაბო საბჭო და მასში შემავალი სოფლების დიდი ლილოს, პატარა ლილოს და ვარკეთილის ბაზაზე შეიქმნას დიდი ლილოს სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ დიდ ლილოში.
3. სამგორის სადაბო საბჭოს დებუტატებს, რომლებიც არჩეული არიან სოფლების დიდი ლილოს, პატარა ლილოს და ვარკეთილის ტერიტორიიდან, შეუნარჩუნდეთ უფლებამოსილება დიდი ლილოს სასოფლო საბჭოში, მორიგ არჩევნებამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი, 1973 წლის 10 აპრილი.

ქ. ნარსის ს. ს. სსრ  
სახელმწიფო რესპუბლიკა  
ბიბლიოთეკა

12196

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 50 გარდაგნის რაიონის სოფელ სოღანლუღის და სოღანლუღის სა- სოფლო საბჭოს გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გაუქმდეს სოფელი სოღანლუღი ქ. თბილისის კიროვის რაიონთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

სოფელ სოღანლუღის გაუქმებასთან დაკავშირებით გაუქმდეს სოღანლუღის სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანცაძე.

თბილისი, 1973 წლის 10 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 51 ამხანაგური სასამართლოების დეზულეგალიზაციის შესახებ შესახებ

„ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

სათანადო ცვლილება იქნეს შეტანილი ამხანაგური სასამართლოების დებულებების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 32, მუხ. 478; 1962 წ. № 11, მუხ. 159; 1964 წ. № 4, მუხ. 79; 1965 წ. № 16, მუხ. 341) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„2. სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება, სპირტიანი სასმელების სმა ქუჩებში, ეზოებსა და სადარბაზოებში, სტადიონებზე, სკვერებში, პარკებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში — გარდა საზოგადოებრივი კვების და ვაჭრობის საწარმოებისა, სადაც სპირტიანი სასმელების ჩამოსხმით გაყიდვა წებადართულია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ; საზოგადოებრივ ადგილას მთვრალ, ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში ყოფნა: შინ გამოხდილი მაგარი სპირტიანი სასმელების შექენა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანცაძე.

თბილისი, 1973 წლის 24 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

საქართველო  
შემოქმედება

## 52 არასრულწლოვანთა საქმიანობის კომისიების დახულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1967 წ., № 4, მუხ. 282) მე-19 მუხლის პირველი ნაწილის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიას მშობლებისა და მათი შემცველი პირების მიმართ, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არასწორ დამოკიდებულებას იჩენენ ბავშვებისადმი, ან ბოროტად არილებენ თავს თავიანთი მოვალეობების შესრულებას ბავშვთა აღზრდისა და სწავლების საქმეში, ან დაათრობენ არასრულწლოვანს, აგრეთვე არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით, შეუძლია გამოიყენოს ზემოქმედების შემდეგი ზომები:“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდინძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კახაბძე.

თბილისი, 1973 წლის 24 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 53 საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დახულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულებაში („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“ 1967 წ., № 6, მუხ. 353) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. დებულების მე-9, მე-11, მე-13, მე-16 და 98-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო სანოტარო კანტორის საქმიანობას ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო.

ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახელმწიფო სანოტარო კანტორების საქმიანობას ხელმძღვანელობენ და კონტროლს უწევენ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები და ავ-



ტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილება“.

„**მუხლი 11.** საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების შტატებს ამტკიცებს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ამ კანტორებისათვის დადგენილი საშტატო ერთეულების ფარგლებში“.

„**მუხლი 13.** უფროს სახელმწიფო ნოტარიუსებს, მათ მოადგილეებსა და სახელმწიფო ნოტარიუსებს დანიშნავს და სამსახურიდან დაითხოვს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის რაიონებში და ქალაქებში უფროს სახელმწიფო ნოტარიუსებს, მათ მოადგილეებსა და სახელმწიფო ნოტარიუსებს შესაბამისად დანიშნავს და სამსახურიდან დაითხოვს ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსი“.

„**მუხლი 16.** სახელმწიფო სანოტარო კანტორების შენახვა ხდება რესპუბლიკური ბიუჯეტიდან საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ხარჯთაღრიცხვით“.

„**მუხლი 18.** ინსტრუქციას საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორებში სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ გამოსცემს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო“.

2. მე-10 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 10.** სახელმწიფო სანოტარო კანტორების ქსელს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის წარდგენით“.

3. 32-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რეესტრის წარმოების წესს, აგრეთვე სანოტარო მოწმობებისა და დამამოწმებელ წარწერათა ფორმებს ადგენს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო“.

4. ამ ბრძანებულების და „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ 1972 წლის 20 ნოემბრის ბრძანებულებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს გაუქმების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 21 თებერვლის ბრძანებულების მე-2 მუხლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძიწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კახაძე.

თბილისი, 1973 წლის 24 აპრილი.



ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ

**54** საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების აღმკვეთი საბჭოების დეპუტატთა სადეპუტატო მოწოდებებისა და დეპუტატთა სამკერდე ნიშნების ნიშნების, აგრეთვე საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების აღმკვეთი საბჭოების დეპუტატთა სამკერდე ნიშნების დეპუტატების დამტკიცების შესახებ

„სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ავტონომიური ოლქის, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოების დეპუტატთა სადეპუტატო მოწოდებების ნიმუშები და აღწერილობა.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ავტონომიური ოლქის, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოების დეპუტატთა სამკერდე ნიშნების ნიმუშები, აღწერილობა და სამკერდე ნიშნების დებულება.

3. ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა დაამტკიცონ ავტონომიური რესპუბლიკების მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატთა სადეპუტატო მოწოდებების ნიმუშები და აღწერილობა, დეპუტატთა სამკერდე ნიშნების ნიმუშები და აღწერილობა და დეპუტატთა სამკერდე ნიშნების დებულება.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უზრუნველყოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ავტონომიური ოლქის, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატთა სადეპუტატო მოწოდებების და დეპუტატთა სამკერდე ნიშნების საჭირო რაოდენობით დამზადება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძმუშინძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1973 წლის 24 აპრილი.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა სამკერდე ნიშნებისა

1. სსრ კავშირის კანონის „სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ 35-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოს დეპუტატს აქვს დეპუტატის სამკერდე ნიშანი, რომლითაც იგი სარგებლობს თავისი რწმუნების ვადის განმავლობაში.



2. სამკერდე ნიშანს დეპუტატს გადასცემს მშრომელთა დეპუტატების ბაშისი საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან მდივანი საბჭოს მიერ. დეპუტატის რწმუნების ცნობის შემდეგ. დეპუტატს სამკერდე ნიშანს გადასცემენ სადეპუტატო მოწმობასთან ერთად.

3. სამკერდე ნიშანს ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეს. სამკერდე ნიშნის ტარება აუცილებელია საბჭოს სესიაზე მონაწილეობისას და სხვა სადეპუტატო მოვალეობის შესრულებისას.

4. სადეპუტატო რწმუნებათა ვადის გასვლისას სამკერდე ნიშანი სამახსოვროდ რჩება იმ პირს, რომელიც არჩეული იყო საბჭოს დეპუტატად. დეპუტატის რწმუნებათა ვადადგე შეწყვეტისას, — იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩევლები გაიწვევენ დეპუტატს, აგრეთვე საბჭოს გადაწყვეტილებით დეპუტატის რწმუნებათა მოხსნისას, სამკერდე ნიშანი დაბრუნებულ უნდა იქნეს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

5. სამკერდე ნიშნის დაკარგვის შემთხვევაში დეპუტატისათვის ახალი სამკერდე ნიშნის მიცემის საკითხს წყვეტს შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

## ა ლ ფ ე რ ი ლ ო ბ ა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშნისა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშანი წარმოადგენს ვერტიკალურად განლაგებულ სწორკუთხედს, რომელზეც სტილიზებურად არის გამოსახული საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა.

სამკერდე ნიშნის შუა ნაწილში მოთავსებულია წარწერა, რომლის პირველი და მეორე სტრიქონი წარმოადგენს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესაბამისი რგოლის მოკლე დასახელებას: „სასოფლო საბჭოს“, „სადაბო საბჭოს“, „საქალაქო საბჭოს“, „რაიონული საბჭოს“, „საოლქო საბჭოს“, ხოლო მესამე სტრიქონად წერია — „დეპუტატი“.

### სამკერდე ნიშნის ზომები:

საოლქო, რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოების დეპუტატებისათვის — 20×25 მმ;

სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოების დეპუტატებისათვის — 15×25 მმ.

ადგილობრივი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშანი დამზადებულია ოქროსფრად დაანოდებული ალუმინისაგან, რომელიც დაფარულია ორგანული მინანქრით. ნიშანს აქვს ქინძისთვის სამაგრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.



2. სამკერდე ნიშანს დეპუტატს გადასცემს მშრომელთა დეპუტატთა ბაზისი საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან მდივანი საბჭოს მიერ. დეპუტატის რწმუნების ცნობის შემდეგ, დეპუტატს სამკერდე ნიშანს გადასცემენ სადეპუტატო მოწმობასთან ერთად.

3. სამკერდე ნიშანს ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეს. სამკერდე ნიშნის ტარება აუცილებელია საბჭოს სესიაზე მონაწილეობისას და სხვა სადეპუტატო მოვალეობის შესრულებისას.

4. სადეპუტატო რწმუნებათა ვადის გასვლისას სამკერდე ნიშანი სამახსოვროდ რჩება იმ პირს, რომელიც არჩეული იყო საბჭოს დეპუტატად. დეპუტატის რწმუნებათა ვადამდე შეწყვეტისას, — იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩევლები გაიწვევენ დეპუტატს, აგრეთვე საბჭოს გადაწყვეტილებით დეპუტატის რწმუნებათა მოხსნისას, სამკერდე ნიშანი დაბრუნებულ უნდა იქნეს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

5. სამკერდე ნიშნის დაკარგვის შემთხვევაში დეპუტატისათვის ახალი სამკერდე ნიშნის მიცემის საკითხს წყვეტს შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

## ა ლ ფ ე რ ი ლ ო ბ ა

### საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშნისა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშანი წარმოადგენს ვერტიკალურად განლაგებულ სწორკუთხედს, რომელზეც სტილიზებურად არის გამოსახული საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა.

სამკერდე ნიშნის შუა ნაწილში მოთავსებულია წარწერა, რომლის პირველი და მეორე სტრიქონი წარმოადგენს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესაბამისი რგოლის მოკლე დასახელებას: „სასოფლო საბჭოს“, „სადაბო საბჭოს“, „საქალაქო საბჭოს“, „რაიონული საბჭოს“, „საოლქო საბჭოს“, ხოლო მესამე სტრიქონად წერია — „დეპუტატი“.

### სამკერდე ნიშნის ზომები:

საოლქო, რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოების დეპუტატებისათვის — 20×25 მმ;

სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოების დეპუტატებისათვის — 15×25 მმ.

ადგილობრივი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშანი დამზადებულია ოქროსფრად დაანოდებული ალუმინისაგან, რომელიც დაფარულია ორგანული მინანქრით. ნიშანს აქვს ქინძისთვის სამაგრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

## ს ა ლ ვ ე რ ი ლ ო ბ ა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს  
 დეპუტატის სადეპუტატო მოწმობისა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს დეპუტატის სადეპუტატო მოწმობა წარმოადგენს 90×60 მმ ზომის წიგნაკს მაგარი ყდით.

მოწმობის ყდის ზემო ნაწილში მოთავსებულია საქართველოს სსრ გერბის გამოსახულება, რომელიც ამოტვიფრულია ოქროსფერად. მის ქვემოთ, ორ სტრიქონად, საბჭოების შესაბამისი რგოლის დასახელებაა: „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო“ (ან შესაბამისად — სადაბო, საქალაქო, რაიონული, საოლქო) საბჭო“.

მოწმობის ყდის მარცხენა შიდამხარეს მოთავსებულია დეპუტატის ფოტოსურათი, ხოლო ქვემოთ მთელი სტრიქონის სიგრძეზე — მისი პირადი ხელმოწერა, შემოწმებული მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს ბეჭდით.

მოწმობის ყდის მარცხენა შიდამხარეს, ფოტოსურათის მარჯვნივ, მოთავსებულია შემდეგი ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე:

„მოწმობა ძალაშია \_\_\_\_\_ წლის \_\_\_\_\_ თვემდე“ (მიითებულა ის წელიწადი და თვე, როდესაც საბჭოს, რომელშიც არჩეულია დეპუტატი, გასდის რწმუნებათა ვადა).

მოწმობის პირველსა და მეორე გვერდებზე ქართულსა და რუსულ ენებზე არის შემდეგი შინაარსის ტექსტი:

მოწმობა № \_\_\_\_\_

აზნაავი \_\_\_\_\_ არჩეულია საქართველოს სსრ  
 (გვარი, სახელი, მამის სახელი)

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო, რაიონული, საქალაქო, საოლქო)

(რაიონის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის)

საბჭოს დეპუტატად № \_\_\_\_\_ საარჩევნო ოლქისაგან.

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა და მდივნის ხელის მოწერა მოწმდება შესაბამისი საბჭოს ბეჭდით.

მოწმობის ყდის შიდამხარის მარჯვენა გვერდზე ქართულსა და რუსულ ენებზე არის შემდეგი შინაარსის ტექსტი:

დეპუტატ \_\_\_\_\_ უფლება აქვს სასოფლო (ან შესაბამისად — სადაბო, საქალაქო, რაიონული, ავტონომიური ოლქის) საბჭოს ტერიტორიაზე უფასოდ იმგზავროს რესპუბლიკის დაქვემდებარების საავტომობილო და წყალსაგალი ტრანსპორტით, ქალაქის ყველა სახის სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა).

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, კიათურისა და ტყიბულის საქალაქო, ავტონომიური ოლქის დეპუტატების მოწმობებში სიტყვების შემდეგ „(ტაქსის გარდა)“ თავსდება სიტყვები: „და აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტით“.

საოლქო, რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოების დეპუტატებისათვის სადეპუტატო მოწმობათა ყდები — ლურჯი ფერისაა.

სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოების დეპუტატებისათვის — წითელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 55 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების წინადადებათა განხილვისა და შესრულების დამოგარეობის შესახებ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები ძირითადად იცავენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების წინადადებათა განხილვის წესს და იღებენ ზომებს მათს განსახორციელებლად.

სამინისტროებისა და უწყებების უმრავლესობას, თანახმად დადგენილი წესისა, აქვს სპეციალური ჟურნალი დეპუტატების წინადადებათა რეგისტრაციისათვის და დროულად პასუხობენ დეპუტატებს მათ მიერ დაყენებული საკითხების განხილვისა და შესრულების შესახებ.

დეპუტატთა მიერ დაყენებული წინადადებების შესრულების შედეგად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

დეპუტატების მ. ბუკიას, ვ. მამათელაშვილის, მ. ხორგუაშვილის, ფ. ხასიას და ა. მუშკუდიანის წინადადებების შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973-1975 წლებში გათვალისწინებული აქვს სკოლების მშენებლობა ცხაკაიას რაიონის სოფელ მენჯში, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ნადაბურში, კასპის რაიონის სოფელ დოესში, წალენჯიხის რაიონის სოფელ ჭალაში და წყალტუბოს რაიონის სოფელ გეგუთში. დეპუტატ გ. გაგუას წინადადების საფუძველზე ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ სამტრედიის რაიონის სოფელ ტოლების ამბულატორიას დამატებით გამოუყო ექიმ-სტომატოლოგის შტატი.

დეპუტატთა მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ წყალსადენის მშენებლობის დასამთავრებლად საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას გამოუყო 104,8 ათასი მანეთი, ხოლო კასპის რაიონის ოკამის საბჭოთა მეურნეობას — 44,0 ათასი მანეთი. დეპუტატების თ. მოლაშხიას, ნ. კობრეიძის და ც. ბლიაძის წინადადებებით საავტომობილო

ტრანსპორტის სამინისტრომ დააწესა ახალი საავტომობილო მარშრუტები. ასევე დეპუტატთა მოთხოვნის შესაბამისად გაიხსნა ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში ძოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები და სხვა.

ამასთან ერთად, ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების წინადადებების განხილვისა და შესრულების საქმეში.

რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკასა“ და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის და კავშირგაბმულობის სამინისტროებში დღემდე არ არის შემოღებული დეპუტატების წინადადებათა აღრიცხვის სპეციალური ქურნალი.

ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელი ნაკლებად ზრუნავს დეპუტატის მიერ დაყენებული საკითხების განხორციელებისათვის დამატებითი რეზერვებისა და შესაძლებლობათა გამოსახაზად. არის ცალკეული შემთხვევები, როცა სამინისტროები და უწყებები დაგვიანებით ან სულ არ პასუხობენ დეპუტატს დაყენებულ წინადადებათა განხილვის შედეგების შესახებ.

ასე მაგალითად, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დეპუტატ ა. მისირელს პასუხი სამი თვის შემდეგ გაუგზავნა. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ დეპუტატ გ. სინარულიძეს, რომელიც ლითონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში საცურაო აუზის მოწყობას ითხოვდა, უპასუხა ორი თვის შემდეგ. სასოფლო მშენებლობის სამინისტროს დღემდე არ გაუგზავნია პასუხი დეპუტატების ვ. ბოჭორიშვილის, თ. ფუტკარაიას და შ. გრძელიშვილის მიერ შესაბამისად გასული წლის 3, 12 დეკემბერსა და 1973 წლის 16 თებერვალს დაყენებული წინადადებების თაობაზე. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ დეპუტატ ნ. შალუტაშვილს პასუხი ორი თვის შემდეგ აცნობა, ხოლო დეპუტატ ა. ბლრციანისათვის, რომელიც ახალქალაქის რაიონის დილისკის სატელეფონო სადგურის დამთავრების დაჩქარებას მოითხოვდა, პასუხი დღემდე არ გაუგზავნია (საკითხი დაყენებული იყო ა/წლის 8 იანვარს). ასევე საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ დაგვიანებით უპასუხა დეპუტატ მ. არათანაშვილს, ხოლო დეპუტატ ნ. საძაგლიშვილისათვის დღემდე არაფერი არ უცნობებია.

სამინისტროების მიერ დეპუტატებისათვის გაგზავნილი პასუხები ყოველთვის არ არის სათანადოდ დასაბუთებული. სამინისტროებისა და უწყებების პრაქტიკაში შემოღებული არ არის დეპუტატების წინადადებათა განხილვა კოლეგიებისა და კომიტეტების სხდომებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დავეალოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს მიიღონ საჭირო ზომები დეპუტატების წინადადებათა აღრიცხვის, განხილვისა და შესრულების უზრუნველსაყოფად, რისთვისაც:

ა) ზუსტად დაიცვან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, მუღმივი კომისიების წინადადებებისა და საქართველოს სსრ



უმაღლესი საბჭოს სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების აღმოფხვრის რეგისტრაციისა და შესრულების წესის შესახებ“;

ბ) არ დაუშვან ფორმლობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების წინადადებათა შესწავლის საქმეში, დადგენილ დროში უზრუნველყონ მათი განხილვა და დეპუტატებისათვის პასუხის გაცემა; მიიღონ ზომები დეპუტატების წინადადებათა განსახორციელებლად;

გ) პრაქტიკაში შემოიღონ დეპუტატების წინადადებათა და მათი შესრულების მიმდინარეობის განხილვა კოლეგიებისა და კომიტეტების სხდომებზე;

დ) კატეგორიულად მოსთხოვონ წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დეპუტატთა წინადადებების დროულად შესწავლა და მათი შესრულება.

2. აღნიშნული დადგენილება დაეგზავნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი, 1973 წლის 24 აპრილი.

### ბანუოფილება მიორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 56 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი ნოდარ კონსტანტინეს ძე დევაძე მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი, 1973 წლის 24 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 57 საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, სპორტულ საზოგადოება „დინამოს“ შექმნის ორმოცდაათ წლი-

სთავთან დაკავშირებით, მიენიჭოთ საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება:

1. ვლადიმერ ლევანის ძე არუთინოვს — სპორტული საზოგადოება „დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს განყოფილების გამგის მოადგილეს.
2. ალექსანდრე მიხეილის ძე ბაქრაძეს — მთავარ მწვრთნელს.
3. მიხეილ ირაკლის ძე ბერძენიშვილს — პენსიონერს.
4. გიორგი ამაზასპის ძე ვართანოვს — უფროს მწვრთნელს.
5. ლუკა ალექსანდრეს ძე იოაკიმიძის — სპეციალიზებული ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორს.
6. ანდრია დიმიტრის ძე ყორდანაას — პენსიონერს.
7. ქრისტეფორე ივანეს ძე ნინიაშვილს — უფროს მწვრთნელს.
8. თენგიზ ალექსის ძე სისორდიას — სპორტული საზოგადოება „დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს განყოფილების გამგეს.
9. გივი სამსონის ძე ურუშაძეს — აჭარის ასსრ სპორტული საზოგადოება „დინამოს“ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს.
10. ლევან გიორგის ძე ფალავანდიშვილს — საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.
11. არამ გერასიმეს ძე ხანგულიანს — პენსიონერს.
12. მედეა ნიკოლოზის ასულ ჯუღელს — რესპუბლიკური სპეციალიზებული სპორტული სკოლის დირექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი, 1973 წლის 12 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**58** ანხ. ბ. ა. ბილანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. გრიგოლ ალექსის ძე ბილანიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი, 1973 წლის 6 აპრილი.





ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**59** პროფესორი ი. ა. ნაკაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი ილია ამბაკოს ძე ნაკაიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდინძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვახაძე.

თბილისი, 1973 წლის 6 აპრილი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**60** ამხ. კ. თ. ჯომოსაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის განყოფილების უფროსი ამხ. კარპეზ თადეოზის ძე ჯომოსაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდინძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვახაძე.

თბილისი, 1973 წლის 6 აპრილი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**61** ამხ. კ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საკოლმეურნეობათა შრომის სანატორიუმების მშენებლობისა და ექსპლუატაციის საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე ამხ. პეტრე ალექსანდრეს ძე ჩხეიძე დაჯი-

დღოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი, 1973 წლის 6 აპრილი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 62 ახს. დ. ი. ცინცაბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ლანჩხუთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ამხ. დავით იოსების ძე ცინცაბაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი, 1973 წლის 6 აპრილი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 63 ახს. მ. კ. წულუკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, ი. ნ. ლომოურის სახელობის საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურის დირექტორი ამხ. მიხეილ კონსტანტინეს ძე წულუკიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი, 1973 წლის 6 აპრილი.



ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**64** ამხ. ს. ზ. ჭკადუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორის მოადგილე ამხ. სოსო ფილიმონის ძე ჭკადუა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდინძე,  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვახაძე.

თბილისი, 1973 წლის 6 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**65** პროფესორ ი. ა. ხოჭოლაგას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის სექტორის გამგე, პროფესორი ივანე ანდრიას ძე ხოჭოლავა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდინძე,  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვახაძე.

თბილისი, 1973 წლის 6 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**66** სპორტულ საზოგადოება „დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის, შექმნის ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, სპორტულ საზოგადოება „დინა-

მოსაქართველოს რესპუბლიკური საბჭო დაჯილდოვდეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამჩაძე.

თბილისი, 1973 წლის 12 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 67 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, სპორტული საზოგადოება „დინამოს“ შექმნის ორმოცდაათ წლისათვის დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

1. მიხეილ გიორგის ძე ამინაშვილი — სპორტული საზოგადოება „დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი.
2. ვახტანგ ერმილეს ძე დიდიძე — სპორტული საზოგადოება „დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
3. თინათინ შოთას ასული ლეკვიშვილი — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.
4. ალექსანდრე ირაკლის ძე მეტრეველი — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი
5. მურთაზ კალისტრატეს ძე ხურცილავა — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამჩაძე.

თბილისი, 1973 წლის 12 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 68 ახს. ვ. ს. გელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს (საქინფორმის) დირექტორის მოადგილე ახს. ვლადიმერ სოლომონის ძე გელაშვილი





ლანჩხუთის	„	.	.	.	.	.	.	.	3
მარნეულის	„	.	.	.	.	.	.	.	31
მესტიის	„	.	.	.	.	.	.	.	14
მცხეთის	„	.	.	.	.	.	.	.	3
ონის	„	.	.	.	.	.	.	.	2
სამტრედიის	„	.	.	.	.	.	.	.	5
ყვარლის	„	.	.	.	.	.	.	.	13
წულუკიძის	„	.	.	.	.	.	.	.	4
ხოზის	„	.	.	.	.	.	.	.	5